ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №658995

ნომერი: AR1121693

თარიღი : 03.04.2013

გაცემის თარიღი : 24.04.2013

გაცნობის თარიღი : 25.04.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , (ნაკვეთი N40/220) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი ჭელიძე პ/ნ 55001002403
- თბილისი ც.დადიანის ქ. N 43

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის2007 წლის08 თებერვლის#ჭ-1/42 ქალაქთმშენებლობითპირობებშიცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 03.04.2013 წ. #AR1121693 განცხადებით მომართა მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ამახანაგობა "აგრარული აკადემია 2005"-ს თავმჯდომარე ბადრი ჭელიძემ და მოითხოვა 08.02.2007 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #ჭ-1/42 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 08 თებერვლს ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ.

#34-ში მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) შენობის აშენების მიზნით დადგინდა #ჭ-1/42 ქალაქთმშენებლობითი პირობები. აქტი გაცემულ იქნა 5237 კვ.მ ფართობის, #01.14.03.040.220 საკადასტრო ერთეულზე.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. 08.02.2007 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #ჭ-1/42 ქალაქთმშენებლობით პირობები გაცემულია “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს საპროექტო ობიექტის ფუნქციის ცვლილებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე” ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 08 თებერვლის #ჭ-1/42 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდეს მრავალბლოკიანი, მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, საოფისე და სავაჭრო);
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 08 თებერვლის #ჭ-1/42 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.